



განთვთა ღა განკარგულბათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ნომბრის 15.	№ 21 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.
--------------------------	-----------------------------	---

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 242. სამხედრო უწყების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არა-
მყოფ პირთა გამოსახლების შესახებ.


დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა.

243. დაწყებითი და საშუალო სკოლის პოლიტეხნიზაციის შესახებ

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.

242. სამხედრო უწყების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითე-
ლი არმიის რიგებში არამყოფ პირთა გამოსახლების შე-
სახებ.

„სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების
კუთვნილი სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არამყოფ
პირთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭ-ის 1931 წ. აგვისტოს 17-ის
დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ. 342) ამიერ-
კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კო-
მისართა საბჭო ადგენენ:



1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მთავრობის მიერ შემდგომ დადგენილების გამოცემა: „სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არამყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.“

2. წინდადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაეაღოს ადგილობრივ საბჭოებს—ჩატარონ 3 თვის ვადაზე სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახლებიდან ყველა იმ პირის გამოსახლება, ვინც ამ დროისათვის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არ იქნება, იმ წესით და იმ საფუძვლებზე, რაც აღნიშნულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს ა/წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებაში: „სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არამყოფ პირთა გამოსახლების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ.342);

ბ) ერთი დეკადის ვადაზე შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1931 წ. აგვისტოს 17-ის, დადგენილებას და ამა დადგენილებას

3. გაუქმებულ იქნეს:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წ. ნოემბრის 9-ის დადგენილება „საყაზარმო სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, ვინც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებების სამსახურში არ იმყოფება“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-ის მუხ. 551);

ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ის, დადგენილება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნილი საცხაურებელი სახლებიდან აღმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-ი, მუხ. 255).

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ნოემბრის 12.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 319 №-ში 1931 წ. ნოემბრის 26-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

243. დაწესებით და საშუალო სკოლის პოლიტეხნიზაციის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია და სტიკიური განვითარება უმაღლესი ტექნიკის საფუძველზე დიდად საჭიროებს კვალიფიციური მუშა ძალისა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალის მომზადებას, ე. ი. წარმოების ერთი რომელიმე განსახვრეული დარგის სპეციალისტებისა, რომელთაც ამასთანვე უნდა ჰქონდეთ ფართო პოლიტეხნიკური თვალთახედვა; აგრეთვე მოითხოვს მშრომელთა ფართო მასებისაგან ტექნიკური ცოდნით აღჭურვას და რაც შეიძლება ფართო და ღრმა შეცნობას იმ ტექნიკური პროცესებისას, რაც წარმოების ყველა ძირითად დარგში ხდება.

ამიტომ მთელი სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის კადრების მომზადების პრობლემის სწორე და წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს როგორც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მეშვეობით ამა თუ იმ დარგის ვიწრო სპეციალისტების მომზადების ტემპების გაძლიერებას, ხოლო აუცილებლად ფართო პოლიტეხნიკური განათლების ბაზისზე, ისე მაშსური სკოლის დაუყოვნებელ გარდაქმნას პოლიტეხნიზაციის საფუძველზე.

რადგანაც მასიურ სკოლაში არსებული აღზრდა-განათლების პროცესების ამდროინდელი მდგომარეობა არ შეესაბამება საესებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანებს, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ჯინდუსტრიალიზაციის ჩქარვა ტემპებმა, უმაღლესი ტექნიკის გამოყენების ბაზისზე, და ჩვენი სკოლების გადანაცვლებამ იმ მხრით, რომ სასკოლო სწავლება ვადაბმულია საწარმოო შრომაზე და საზოგადოებრივ მუშაობაზე, საფუძველი ჩაუყარა სკოლების გარდაქმნას პოლიტეხნიზების ბაზისზე, აგრეთვე რადგანაც ნამდვილი პოლიტეხნიკური სკოლის შექმნა შეუძლებელია უიმიოდ, რომ ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ და მას ხელი არ შეუწყონ სამეურნეო, კოოპერატიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა, მუშათა და მშრომელ გლეხთა ფართო მასებმა, განსაკუთრებით კოლმეურნეებმა და მთლად საბჭოთა ინტელიგენციამ, — ამის გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. ჩატარებულ იქნეს 1931-32 სასწავლო წელს ყველა, გამოუნაკლისად, შეიდწლედინი სკოლის რეორგანიზაცია მათი საფაბრიკო-საქარხნო შეიდწლედებად (ქალაქში) და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლებად (სოფელში) გადაკეთებით.

ცალკეული რაიონების მეურნეობათა მიმართულებისა და განვითარების პერსპექტივების შესაბამისად — ამ რაიონებში დარჩენილი ცხრაწლედები და ათწლედები გადაკეთებულ იქნეს ტექნიკუმებად.

II. მოწყობილი იქნეს სახალხო განათლების ორგანოებთან ცენტრში და ადგილებზე სკოლების პოლიტეხნიზაციის ჩატარებელი შტაბები დინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე სკოლების პოლიტეხნიზაციაზე გადაყვანის ერთიანი გეგმა, რაც უნდა შეიცავდეს თვითეული დაინტერესებული მხარის კონკრეტულ ვალდებულებას, და უნდა მოაწყონ პოლიტეხნიზაციის შტაბების მეშვეობით ამ გეგმის რეალიზაციის მსვლელობის მეთვალყურეობა და შემოწმება.

III. 1931 წლის ნოემბერი გამოცხადებულ იქნეს პოლიტეხნიზაციის საღამო-მკვრელო „თეატრად“. ამ ვადის განმავლობაში დამთავრებულ იქნეს ყველა სკოლის მიმავრება დაბრიკებზე, ქარხნებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, და მათთან ხელშეკრულებების დადება, რომლებითაც განსაზღვრული იქნება საურთიერათო ვალდებულებანი სკოლებსა და საწარმოთა შორის და რომლებიც უზრუნველყოფენ უფროსი ჯგუფების (5—7 ჯგ.) საწარმოო შრომაში სისტემატიური მონაწილეობის სათანადო ორგანიზაციას.

IV. რათა შეიქმნას სათანადო პირობები, რაც უზრუნველყოფს მთლად სასკოლო მუშაობის გარდაქმნას იმ საფუძველზე, რომ მოსწავლენი ეცნობოდნენ თეორით და პრაქტიკით წარმოების ყველა მთავარ დარგს, და აგრეთვე დამყარდეს მჭიდრო კავშირი თეორეტიულ სწავლებასა და საწარმოო შრომას შორის, 1931-32 სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებულ იქნეს შემდეგი უმთავრესი ღონისძიება:

1. რაღვანაც მასსური სკოლის პროგრამის ამდროინდელი მდგომარეობდა და მასში საწარმოო სწავლების განხორციელების პრაქტიკა საეცებით არ შეესაბამება პოლიტეხნიზაციის ამოცანებს, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატებს:

ა) შეიტანონ დაწკებითი სკოლის (ოთხწლედები, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ში — ხუთწლედები) პროგრამაში აგრომინიმუმის და ზოომინიმუმის სავალდებულო სწავლება; ამასთანავე, ეს სწავლება მჭიდროდ დაკავშირებულ უნდა იქნეს როგორც ბუნებისმცოდნეობის ძირითადი საკითხების შესწავლასთან, ისე მოწინავე სასოფლო სამეურნეო ტენიკის შესწავლასთან; აგრეთვე დაკავშირებულ უნდა იქნეს სკოლის საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის გეგმასთან (მეურნეველეობისა, მეაბრეწუმეობისა, ცალკეული ტენიკური კულტურებისა და სხვ. მისთ. სფეროში);

ბ) გადასინჯონ და გადაამუშაონ საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლების პროგრამები იმ თვალსაზრისით, რომ ეს პროგრამები მჭიდროდ იქნეს დაკავშირებული უწყებულები რაიონის სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებთან — იმის შესაბამისად, თუ რა მიმართულებით ვითარდება მეურნეობა ამ რაიონში (მეურნეობის დარგებისა, ცალკეული კულტურებისა და სხვა მისთ. მიხედვით); აგრეთვე იმ თვალსაზრისით, რომ საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლენებმა შესწავლონ დიდი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტენიკა და გაეცნონ ინდუსტრიალური წარმოების საფუძველებს, განსაკუთრებით იმ დარგებს,

რაც მჭიდროდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ქიმიკა, ელექტრობა და სხვ. მისთ);

გ) შვიტანონ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედისა და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოების შესავალი კურსი; ამასთანავე, უნდა უზრუნველყოფილი იქნას კონკრეტული კავშირი წარმოებასა და ყველა, გამოუნაკლისად, სასწავლო დისციპლინასა და საგანს შორის;

დ) უზრუნველყოფილი იქნას საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეებმა შეიძინონ ელემენტარული ცოდნა სასოფლო მეურნეობისა და მისი ტექნიკისა—საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლებთან ურთიერთი კავშირით, კოლექტიურ მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ვასვლით პრაქტიკული მუშაობისათვის და სხვ.;

ე) მოაწიონ დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა ძალღონის შესაფერი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და საბავშვო ინსტრუმენტებით და ინვენტარით გაწყობილ საკოლმეურნეო სახელოსნოებში და სხვ. მისთ.;

ვ) უზრუნველყოფილი იქნას საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლებისა და საფაბრიკო საქარხნო შვიდწლედების დაჩქარებით გადასვლა შეუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე, სისტემატური საწარმოო სწავლებით; საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო მეურნეობანი შეუერთონ კოლექტიურ მეურნეობებს და საწარმოო პროგრამაში გავლილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში;

ზ) გაშალონ ქალაქად და სოფლად სამავალითო პოლიტექნიკური სკოლების ქსელი (არა ნაკლებ თითო სკოლისა რაიონზე); უზრუნველყოფილი იქნას ეს სკოლები პოლიტექნიკური გაწყობილობით და კვალიფიკაციური პედაგოგიური ძალებით, ისე, რომ ამ სკოლების მავალიობებზე დანარჩენი სკოლები სწავლობდნენ პოლიტექნიკის განხორციელებას—ამ სკოლებში მოპოებული გამოცდილების შეთვისებით.

2. ვინაიდან პედაგოგიური პერსონალის მოუმზადებლად და გარდაუმზადებლად სკოლების ახალი ამოცანების შესაბამისად, პედაგოგების ფარო პოლიტექნიკური ცოდნით აღუჭურველად და პოლიტექნიკური სკოლისათვის ახალი კადრების მოუმზადებლად შეძლებულია სკოლის პოლიტექნიკურ ბაზისზე გადასვლა,—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შერდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიათა საბჭოებს—დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატებს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, განხორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სასწავლო წლის განმავლობაში მოკლევადიანი ინსტრუქტული პრაქტიკუმების მოწყობით, რაშიც დაიხმარებენ აგრონომიულ და საინჟინერო-სატექნიკო ძალებს, პოლიტექნიკური მომზადებისათვის მასწავლებელთა კონფერენციებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის წარმატების კურსების გამოყენებით, ქალაქისა და სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის ზაფხულის პერიოდში მათი პოლიტექნიკურად მოსამზადებლად და გარდასამზადებლად სპეციალური კურსების მოწყობით, დაწყებითი სკოლისა, საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედისა და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელთათვის არადასასწრები პოლი-

ტენიკური სწავლების შემოღებით — გააცნონ მასწავლებლებს წარმოების საფუძველნი ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობებში, სამაქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლექტიურ მეურნეობებში, ისეთი ვარაუდით, რომ 1931-32 სასწავლო წლის განმავლობაში ასეთმა გაცნობამ შეიცვას მთელი პედაგოგიური კადრები;

ბ) განახორციელონ პედაგოგიური ტენიკუმებისა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო გეგმისა, პროგრამებისა და მუშაობის სისტემის გარდაქმნა, ისე რომ I და II კონცენტრების სკოლებისათვის და ტენიკუმებისათვის გამოუშვან საკმარისად მომზადებული და პოლიტენიკური ცოდნით კარგად აღჭურვილი მასწავლებლები;

გ) შემოიღონ ყველა ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთათვის სკოლის პოლიტენიზაციის მუშაობის მეთოდებისა და საწარმო-სატენიკო სწავლების საქმის გაცნობა;

დ) ა/კფსრ შედგენილობაში შემაველი რესპრბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, უმაღლესი ტენიკური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მეშვეობით, პედაგოგ-ინჟენერების მომზადების გასაძლიერებლად;

ე) რადგანაც პიონერ-გამძღოლნი შეადგენენ ძვირფას რეზერვს მათგან ახალი პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად და რადგანაც უდიდესი მწაშენლობა აქვს სკოლის გარეშე მუშაობას ბავშვების პოლიტენიკური აღზრდისათვის, — შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი პიონერ-გამძღოლთა პოლიტენიკური მომზადებისათვის და აგრეთვე საბავშვო ტენიკური და სასოფლო-სამეურნეო სადგურების ხელმძღვანელთა, მოძრავი ფერმების ხელმძღვანელთა და სხვ. მისთ. მომზადებისათვის.

3. სკოლების პოლიტენიზაციისათვის მატერიალური ბაზისის შესაქმნელად 1931-32 წელს განხორციელბულ იქნეს შემდეგი:

ა) ა/კფსრ შედგენილობაში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისა და ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინონ 1932 წლისთვის სკოლის საპოლიტენიზაციოდ საჭირო სახსარი (სახელოსნობების გაწყობა, მარტივი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა, სამუშაო ოთახებისა და პოლიტენიკური ლაბორატორიების მოწყობა, მასწავლებლების პოლიტენიკური მომზადება და გარდამზადება და სხვ. მისთ.) როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებით, მაქსიმალურად ბიუჯეტ-გარეშე წყაროების გამოყენებით;

ბ) წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისა და ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, პოლიტენიზაციის შეტანებთან ერთად, შეიმუშაონ ღონისძიებანი ფართო მასშტაბის ინციტატივის ორგანიზაციისათვის სკოლის პოლიტენიზაციის საქმეში ფინანსითური დახმარების გასაწყველად — ფულადი თანხების გადაღებით სოციალისტური შეჯიბრებისა, თეოდაბეგვისა, სპეციალური ფონდების მოწყობისა, კულტპექტარების შემოსავლისა, კოლექტიური მოხვნისა, შეფთა დახმარების და სხვა მისთ. წესით;

გ) დაევალოს ყველა სამეურნეო, საპროფკავშირო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას—მიიღოს მონაწილეობა სკოლის პოლიტეხნიზაციისათვის სახსარის გაღებაში; სამეურნეო ორგანოების 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს სახსარი სასკოლო სახელოსნოებისთვის, ლაბორატორიებისა, მასწავლებელთა გარდამზადებისათვის და სხვ. მისთ;

დ) ა/კფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა გადასცენ სკოლებს საწარმოში გამოუყენებელი და სამუშაო ოთახების და სასკოლო სახელოსნოებისათვის გამოსაყენებელი დაზგები, ინსტრუმენტები და სხვა ნარჩენი მასალა (წუნდადებული, ნატეხი, ნაფლეთი);

ე) ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და სარეწაო კოოპერაციის ორგანოებმა მოაწყონ უმოკლეს ხანში ადგილებზე მასსური სკოლებისათვის სასწავლო ხელსაწყოები და სასწავლო გაწყობილობა, რისთვისაც გამოიყენონ ამ საქმეში ადგილობრივი რესურსები;

რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა შეიმუშაონ სასწავლო ხელსაწყოებისა და პოლტეხნიკური გაწყობილობის სტანდარტები და წარუდგინონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს საამისო განცხადებები;

ვ) გამოყოფილ იქნეს საცდელ-სასწავლო მუშაობის შესაფერი და ვარგისი მიწის ნაკვეთები ყველა სასოფლო დაწყებითი სკოლისათვის და დაევალოს სასოფლო საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებს—გაუწიონ ხოლმე სკოლებს დახმარება ამ ნაკვეთების დამუშავებაში და შეასრულონ ბავშვების ძალღონის შეუფერებელი ესა თუ ის საქმე (ხენა და სხვ.), მიაწოდონ თესლეული, საწვევი ძალა, სასუქი და სხვ.;

ზ) წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) დაევალონ განათლების სახალხო კომისარიატებს—მოაწყონ 1931-32 სასწავლო წელს პატარ-პატარა პოლიტეხნიკური მუზეუმებისა და აგრეთვე სპეციალური პოლიტეხნიკური განყოფილებების ქსელი არსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან;

დაევალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს—გაუწიონ ამ ღონისძიების განხორციელების საქმეს საფინანსო და საორგანიზაციო დახმარება;

2) დაევალონ განათლების სახალხო კომისარიატებს, სახელმწიფო გამომცემლობებთან ერთად, შექმნან ტიპური პოლიტეხნიკური ბიბლიოთეკები მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის სამშობლო ენაზე; რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობებმა ფართოდ გაშალონ მასსური პოპულიარული საბავშვო ტეხნიკური ლიტერატურისა, პლაკატებისა და სხვა მისთ. გამოცემა; მოაწყონ აგრეთვე სპეციალური პოლიტეხნიკური ლიტერატურის გამოშვება წლოვანთათვის;

3) დაევალოს სახელმწიფო კინომრეწველობათ—შეიტანონ თავიანთ 1932 წლ. საწარმოო გეგმებში პოლიტეხნიზმის ფართო პროპაგანდის კინო-ფილმები.

V. ვინაიდან სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დღევანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება პოლიტეხნიზაციის ამოცანებს, წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაა-

ვალონ განათლების სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ მოაწყონ და დააყენონ სათანადო სიმაღლეზე სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა და უზრუნველ-
ჰყონ სკოლის პოლიტეხნიზაციისათვის სამეცნიერო-საკვლევო ბაზისის შექმნა.

VI. მშრომელთა ფართო მასსებს შორის პოლიტეხნიზაციის იდეის პოპული-
არიზაციისა და ამ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანის გარშემო მთელი საბჭოთა
საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციისათვის:

1) ა/კსფსრ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ფართო პროპაგანდა უნდა
გასწიონ მუშათა, მოჯამაგირეთა და კოლმეურნეთა მასსებსა და საერთოდ მშრო-
მელთა შორის პოლიტეხნიზაციის იდეის გავრცელებისათვის და უზრუნველჰყონ
აგრონომიული და საინჟინერო-სატექნიკო ძალების ფართო მონაწილეობა პოლი-
ტეხნიკური სწავლების დაყენების საქმეში; უნდა გააფართონ სკოლებზე საწარმოო
შეფობის პრაქტიკა; მოაწყონ საფაბრიკო კომიტეტებთან პოლიტეხნიზაციის დამ-
ხმარე ჯგუფები; შეიტანონ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებში პუნ-
ქტები სკოლის პოლიტეხნიზაციისათვის დახმარების გაწვევის შესახებ; მოაწყონ
მუშათა სისტემატიური კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციათა, საწარმოთა და სკო-
ლათა მიერ ნაკისრები საურთიერთო ვალდებულებების შესრულებისათვის.

2) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა
საბჭოებმა უნდა დაეაღონ განათლების სახალხო კომისარიატებს ფართოდ
გამოიყენონ პოლიტეხნიზების პროპაგანდისათვის ხელოვნებისა და მხატვრული
თვითმოქმედების ყველა დარგი (თეატრი, მუსიკა, გამოფენა და სხვ. მისთ.),
ხოლო რადიოცენტრმა უნდა შეიტანოს რადიომაუწყებლობის გეგმაში პოლიტე-
ხნიზაციის სისტემატიური პროპაგანდა და ის ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს
მასწავლებელთა პოლიტეხნიკურ სწავლას დაუსწრებლად

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ნოემბრის 3
ტფილისი.